ხელშეკრულება სახელმწიფო

შესყიდვების შესახებ №67

ქ. თბილისი 15 მაისი, 2017 წელი

ერთის მხრივ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი კეკელიძის სახით და მეორეს მხრივ, ი/მ კახაბერ გოგუა (შემდგომში – „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი კახაბერ გოგუას სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე–3[3] პუნქტის შესაბამისად შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისათვის 1667 წელს პარიზში, ფრანგულ ენაზე გამოცემული ესპანელი დიპლომატისა და მოგზაურის დონ გარსია დე სილვა ფიგეროას წიგნის „დონ გარსია დე სილვა ფიგეროა სპარსეთში“ (CPV- 22100000) შეძენა.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1000 (ათასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს, მათ შორის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 1667 წელს პარიზში, ფრანგულ ენაზე გამოცემული ესპანელი დიპლომატისა და მოგზაურის დონ გარსია დე სილვა ფიგეროას წიგნის „დონ გარსია დე სილვა ფიგეროა სპარსეთში“ შემოტანა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 22 მაისის ჩათვლით.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქ.N7.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში - ლარში.

4.2. პროდუქციის გადაცემა დასტურდება მხარეთა მიერ ხელმოწერილი შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

5.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, წუნდების მიზეზის მითითებით;

5.4. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის შემოწმებას, მიღება-ჩაბარებას და შესაბამის საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაზე ხელმოწერას ახორციელებს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი – ლევან თაქთაქიშვილი.

უფლებამოსილი პირი_____

6. მხარეთა უფლება– მოვალეობები

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

– მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვა;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული პროდუქციის ღირებულების ანაზღაურება;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

– დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 23 ივნისის ჩათვლით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %–ის ოდენობით.

9. ფორს– მაჟორი

9.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს

წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება;

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით;

11.3. ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით;

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

11.5. ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას; მხარე ვალდებულია გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე შეატყობინოს მეორე მხარეს;

11.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

12. ინტერესთა კონფლიქტი

12.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და კოორდინატორი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი- შემსყიდველს.

14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს პარლამენტის	ი/მ კახაბერ გოგუა
ეროვნული ბიბლიოთეკა	ჩხოროწყუს რ-ნი, ქებურიას ქ. N14
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი	ს/კ: 142266928
ს/კ 0107, ლადო გუდიაშვილის ქ. №7	ბ/ნ 48001002106; ტელ:574553434
საიდენტიფიკაციო კოდი: 203845018	სს „თიბისი ბანკი"
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი : TBCBGE22
ანგ. №200122900	ა/ა GE55TB7965545061100021

გენერალური დირექტორი	ინდ.მეწარმე
_____	_____
გიორგი ბუკელიძე	კახაბერ გოგუა